სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 199

2018 წლის 21 დეკემბერი

ქ. თბილისი

2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის დამტკიცების შესახებ

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესი და პირობების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის „დ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, „2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 5 აპრილის N39 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (N1640937; 21.12.2018) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი:

   პროექტის შიფრი: PHDF-18-309, **პროექტის სათაური:** „სამცხე-ჯავახეთისა და ერზურუმ-ყარსის ვულკანური ზეგნების პეტროგენეტური კორელაციური ანალიზი და ფორმირების გეოდინამიკური მოდელი",**უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულება:** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2. გამარჯვებული პროექტის ავტორმა დოქტორანტმა არაუგვიანეს 2018 წლის 25 დეკემბრისა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს აქტიური სტატუსის შესახებ ცნობა შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან და ბანკის ანგარიშის ნომერი;
3. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტის ავტორ დოქტორანტთან და შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან საგრანტო

ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2018 წლის 31 დეკემბრისა.

4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია